პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

24 ოქტომბერი, სამშაბათი, 1989 წ.
№ 204 (10 123) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მეშვიდე, საკავშირო...

ამ დღეებში მოსკოვში პრეს-კონფერენცია გამართა სსრ კავშირის ხალხთა VII ზამთრის სპარტაკიადის მთავარმა მსაჯმა, საკავშირო სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილემ, წარსულში ცნობილმა მოთხილამურემ ვიქტორ მამატოვმა.

— სპარტაკიადა გაიმართება 1990 წლის თებერვალ-მარტში. მის პროგრამაშია სპორტის 13 სახეობა, მათ შორის შორტ-ტრეკი და ფრისტაილი. სასპარტაკიადო სტარტები შედგება უმთავრესად კიევის, ლვოვისა და ივანო-ფრანკოვსკის ოლქების სპორტკომპლექსებზე: ესენია: უკრაინის დედაქალაქის ცენტრალური სტადიონი, პროფკავშირების ბაზა ვოროხტაში, „დინამოს“ კომპლექსი დაბა სლავსკოეში და არმიის სპორტკლუბ „ტისოვეცის“ ბაზა სკოლეს რაიონში. ეს ნაგებობანი არაერთხელ შემოწმებული საკავშირო ჩემპიონატებისა და საერთაშორისო შეჯიბრებების მონაწილეთა მიერ.

— მსგავსი შეჯიბრებები პირველად ჩატარდება უკრაინასა და კარპატებში. ეს ადგილები სპეციალისტებმა განგებ შეარჩიეს და პირველ რიგში გაითვალისწინეს, რომ 1992 წლის ზამთრის ოლიმპიადა ალბერვილში ზუსტად ანალოგიურ პირობებში გაიმართება.

— სპარტაკიადის ფინალურ სტარტებს წინ უსწრებს მასობრივი შეჯიბრებები, რომლებიც ჯერ კიდევ შარშან დაიწყო. ეს გახლავთ ტურნირები ფიზკულტურულ კოლექტივებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში, შეჯიბრებათა პროგრამაში იყო სათხილამურო რბენა სხვადასხვა დისტანციაზე, ციგურაობა, ჰოკეისტთა - გამოსვლები, აგრეთვე მშდ-ის მრავალშიდი.

— VII სპარტაკიადის საზეიმო გახსნა 3 თებერვლისთვისაა დანიშნული და მოხდება ლვოვის ოლქის რაიონულ ცენტრ სკოლეში. ამ დღეს დაიწყება სათხილამურო რბოლებიც, რომლებიც 12 თებერვლამდე გასტანს. დანარჩენ შეჯიბრებათა გრაფიკი ასეთია:

3-5 თებერვალი. შორტ-ტრეკი (კიევი).

9-18 თებერვალი. ჰოკეი (კიევი).

12-18 თებერვალი. ბურთიანი ჰოკეი (ქრასნოიარსკი).

14-25 თებერვალი. სამთო-სათხილამურო სპორტი (ხლავსკოე).

15-20 თებერვალი. ორეიდი (ვოროხტა).

17-21 თებერვალი. ფრისტაილი (სკოლე).

21-25 თებერვალი. თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა (სკოლე).

28 თებერვალი — 5 მარტი. ბიატლონი (სკოლე).

6-11 მარტი. ციგურაობა (კიევი).

7-11 მარტი. ციგაობა (სიგულდა).

14-22 მარტი. ბიატლონი (სიგულდა).

21-25 მარტი. ფიგურული ციგურაობა (კიევი).

ტრადიციულად — წარმატებით

უოველწლიურად ხარკოვში იმართება ახალგაზრდა ძიუდოისტთა (17-18 წლის) წარმომადგენლობითი ტურნირი. წლეულს იქ თავი მოიყარა 19 კოლექტივმა თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ პოლონელი მოჭიდავეებიც.

ტურნირზე საქართველოს გუნდის სახელით მოასპარეზე გარდაბნის რაიონის ძიუდოისტებმა წარმატებას მიაღწიეს: ბადრი ბედიანაშვილმა (49 კგ) და გოჩა ჭრიკიშვილმა (62) პირველი ადგილები დაიკავეს, ვახტანგ კახაბრიშვილმა (57), ვახტანგ ბედიანაშვილმა (68) და ბადრი სახლთხუციშვილმა (83) — მეორე, ხოლო რამაზ ითაშვილი მესამე ადგილზე გავიდა.

გარდაბნელთა გუნდის მწვრთნელები არიან საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ზურაბ კოროხაშვილი, აგრეთვე მერაბ ტაბლააშვილი და თამაზ ბოგორიაშვილი.

გაისად — პირველ ლიგაში

გაისად I ლიგის საკავშირო გათამაშებაზე იასპარეზებს ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ბალახის ჰოკეისტ გოგონათა გუნდი „ფეიქარი“. ეს უფლება მან მოიპოვა საკუთარ ხელოვნურსაფარიან მოედანზე გამართულ საკავშირო პირველობის ფინალურ ტურნირში, სადაც მისი მეტოქეები იყვნენ აშხაბადის, ერევნის, სტრეყევოს და ყაზანის ძლიერი კოლექტივები.

ქუთაისელმა გოგოებმა შესანიშნავად ჩაატარეს ეს ძნელი და საპასუხისმგებლო ტურნირი. მათ პირველ ტურში დამჯერებლად (2:0) დაამარცხეს აშხაბადის გუნდი. შემდეგ, ერევნის ძლიერ გუნდთან შეხვედრაშიც რასპეტლები დაუნებდნენ ე. კილაძის გატანილი ბურთის წყალობით. მაგრამ მეორე ტაიმში სტუმრებმა ანგარიში გაათანაბრეს და ფაგორიტთა მატჩიც ფრედ — 1:1 დამთავრდა.

განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა ქუთაისელთა შეხვედრა სტრეყევოს კოლექტივთან, რომელმაც პირველი ორი ტურის შემდეგ ხელთ

იხ. მე-2 გვ.

სურათზე: ბალახის ჰოკეისტ გოგონათა გუნდი „ფეიქარი“.

ო. ბერეჩიკიძის ფოტო.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

ცსკა ერთპიროვნული ლიდერია

კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატზე მორიგი ტურის მატჩები გაიმართა.

მინსკი. ადგილობრივი რადიოტექნიკის ინსტიტუტის გუნდი თბილისის „დინამოსთან“ თამაშობდა. ტაიმი მასპინძლებმა 14 ქულით მოიგეს — 47:33, შესვენების შემდეგ დინამოელები გაააქტიურდნენ, 8 ქულამდე დაიყვანეს ანგარიშში სხვაობა, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდნენ — 82:90.

მოსკოვი. არმიის ცენტრალურმა სპორტულმა კლუბმა ორივე შეხვედრა მოუგო რიგის ვეფ-ს და გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი გახდა. პირველ შეხვედრაში მოსკოველებმა 10-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს, მაგრამ ეს მხოლოდ დამატებით დროში შეძლეს — 89:79 (42:39, 79:79). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ დამატებით 5 წუთში რიგელმა კალათბურთელებმა ვერც ერთი ქულა ვერ აიღეს.

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ამ გუნდების განმეორებითი მატჩიც, რომელიც არმიელებმა მოიგეს — 73:71 (35:33).

დონეცკი. ადგილობრივმა „შახტიორმა“ დაამარცხა მოსკოვის „დინამო“ — 77:74 (40:36).

კაუნასი. „ჟალგირისისა“ და ლენინგრადის სპარტაკელთა შეხვედრაში უპირატესობა მასპინძელთა მხარეს იყო — 93:79 (52:31).

კიევი. ქვეყნის ჩემპიონმა, ადგილობრივმა „ბუდიველნიკმა“ დამარცხა ვილნიუსის „სტატიბა“ — 104:87 (43:45).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 23 ოქტომბრისთვის

ცსკა	11	10	1	21
ვეფ (რიგა)	12	7	5	19
„დინამო“ (მ.)	11	7	4	18
„კალევი“ (ტალ.)	10	7	3	17
ახკ (ალმა-ათა)	10	7	3	17
„ჟალგ.“ (კაუნ.)	11	6	5	17
„ბუდიველ.“ (კ.)	11	6	5	17
რტი (მინსკი)	11	5	6	16
„შახტ.“ (დონ.)	11	4	7	15
„სპარტ.“ (ლენ.)	11	3	8	14
„სტატიბა“ (ვილნ.)	11	2	9	13
„დინამო“ (თბ.)	10	1	9	11

ფეხბურთი - ექსპრესი

შტუტგარტი. ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის ქალთა და ვაჟთა ნაკრებებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს: მოიპოვეს 18 მედალი, მათ შორის ცხრა — ოქროსი, ხუთი ვერცხლისა და ოთხი — ბრინჯაოს ჯილდო. ვაჟთა შორის მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი გახდა 20 წლის ვოროშილოვგრადელი იგორ კოროჩინსკი, ქალებში — მინსკელი სვეტლანა ბოგინსკაია.

ფრანკფურტი. აქ გამართულ მარათონულ რბენაში ყველას აჯობა დასავლეთგერმანელმა სტაიერმა რობერტ შტეფნიმ. დისტანცია მან 2 საათსა, 13 წუთსა და 51 წამში დაფარა. მეორე ადგილი ბრაზილიელმა ჟოაუ ალვეშ დე სოუზამ მოიპოვა — 2:14. 04.

ნიუ-იორკი (აშშ). ამ ქალაქის სახელობის ყოველწლიური ვაჟთა მარათონი ამერიკელმა გლენ გილემეტმა მოიგო (2:27.53). ქალებშიც უძლიერესი 32 წლის ამერიკელი შირლი სილსბი იყო (2:49.30).

რეიმსი (საფრანგეთი). აქაური მარათონი კი ყველაზე კარგად ფრანგმა დომინიკ მოველიემ გაირბინა — 2:16,28, მან თითქმის მთელი ერთი წუთით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ პორტუგალიელ ენრიკე კრიზოშტომს (2:17.29).

სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

ორი მარცხი ზედიზედ

მოსკოვსა და კიევში გაიმართა უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის მორიგი მატჩები.

მოსკოვი. დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ცსკ ვმფ-სა და ადგილობრივი უნივერსიტეტის გუნდების შეხვედრა. გამარჯვება ამჯერად სტუდენტმა წყალბურთელებმა მოიპოვეს — 12:10. მოსკოვის „დინამომ“ ლვოვის თანაკლუბელებს ოთხი გოლის სხვაობით მოუგო — 8:4.

კიევი. თბილისის „დინამომ“, რომელიც V-VIII ადგილებისთვის იბრძვის, ორი შეხვედრა ჩაატარა და ორივე წააგო: ალმა-ათის თანაკლუბელებთან ბრძოლა თბილისელებმა მინიმალური სხვაობით დაამეს — 11:12, კიევის „დინამოსთან“ კი საკმაოდ დიდი ანგარიშით — 8:15.

სხვა მატჩები დამთავრდა ასე: „ტორპედო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (კიევი) 10:9, „დინამო“ (ალმა-ათა) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 16:10.

სეზონის დახურვა თბილისის იპოდრომზე

კვირას, 22 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე დაიხურა ცხენთა გამოცდის წლევანდელი სეზონი. ტრადიციულად სხვადასხვა დისტანციაზე გათამაშდა „საშემოდგომო“, „გამოსათხოვარი“, „სეზონის დახურვისა“ და სხვა პრიზები როგორც ახალთექური, ისე წმინდა სისხლის ცხენებისთვის. იპოდრომზე დამსწრეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს დიდი ქართველი. პატრიოტის მერაბ კოსტავას ხსოვნას.

„საშემოდგომო პრიზი“ დაისაკუთრა ყულარის ცხენსაშენის მხედარმა ალბერტ სარქისიანმ (მანძილი 1600 მეტრი). ამავე სახელობის პრიზი (იგივე მანძილზე) წმინდა სისხლის 2-წლიანი ულაყებისთვის წილად ხვდა კვლავ ყულარის ცხენსაშენის წარმომადგენელს ულფატ ყარაევს, რომელმაც მეორედ მოიგო „სეზონის დახურვის“ პრიზი 3000 მეტრ მანძილზე 3-წლიანი წმინდა სისხლის ცხენ „საგარეჯოთი“.

დიდი ინტერესი გამოიწვია მარულამ 10 კილომეტრზე ადგილობრივი ჯიშის ცხენებით. მასში მონაწილეობა მიიღეს 9-13 წლის მხედრებმა ყაზბეგიდან, სენაკიდან, თიანეთიდან. აღვნიშნავთ იმასაც, რომ თბილისის სახელმწიფო იპოდრომის ხელმძღვანელობამ ეს ღონისძიება ეროვნული ცხენოსნური სახეობების აღორძინების მიზნით ჩაატარა.

ნორჩმა მხედრებმა იშვიათი გამძლეობა გამოიჩინეს. დისტანცია წარმატებით დაამთავრა 12 წლის ყაზბეგელმა ცხენოსანმა ვანო ხაიკაშვილმა, რომელსაც პირველი ადგილი ხვდა წილად. მარულამ დიდძალი მაყურებელი მიიზიდა. ბოლო 27 წლის მანძილზე ასეთი ასპარეზობა ჩვენს იპოდრომს არ უნახავს. სამწუხაროა, რომ ასეთ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობა არ მიიღო ალვანის მეცხენეობის საბჭოთა მეურნეობამ, აგრეთვე მხედრებმა გურიიდან, სამტრედიიდან...

თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე მარულა ადგილობრივი ჯიშის ცხენთა მონაწილეობით მომავალში კვლავაც ჩატარდება. უნდა ითქვას ისიც, რომ ყაზბეგის რაიონი ამ ღონისძიებას კარგად მომზადებული შეხვდა.

თამაზ ქიქავა.

• • •

სურათებზე: ათკილომეტრიან მარულაში გამარჯვებული ყაზბეგელი მხედარი ვანო ხაიკაშვილი; დოლის დისტანციაზე.

ავტორის ფოტოები.

ჩაშლილი შეჯიბრების ისტორია

ტურნირის ეპო

ჩვენმა კეტბურთის მოყვარულებმა იციან, რომ სექტემბერში თბილისში მიმდინარეობდა შესარჩევი ტურნირი სსრ კავშირის პირველობის I ლიგის ერთი საგზურისთვის. ასპარეზობა უნდა დამთავრებულიყო 24 სექტემბერს. პირველი შედეგებიც გაცნობეთ. სამწუხაროდ, ეს ტურნირი ვადამდე შეწყდა. მიზეზი კი... თუმცა სჯობია თავიდან მივყვეთ მოვლენებს.

თბილისის ტურის წინ სპეციალისტები ფავორიტებად ასახელებდნენ ვლადივოსტოკის, ტალინის, ლენინგრადისა და თბილისის კეტბურთელებს, ძლიერ კოლექტივად ითვლებოდა მოსკოვის გუნდიც... მოხდა ისე, რომ თბილისისა და ვლადივოსტოკის გუნდები კალენდრით ტურის ბოლო დღეს უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. დანარჩენი სამი კოლექტივის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, მათ დაკარგეს ერთადერთი საგზურის მოპოვების იმედი. შეგახსენებთ, ტურის შეხვედრები 17 სექტემბერს დაიწყო, 22 სექტემბერს მონაწილეებს თავისუფალი დღე ჰქონდათ. სწორედ ამ დღიდან დაიწყო ეს ერთობ უსიამოვნო ისტორიაც...

23 სექტემბერს მაუდ-კამოლის კომბინატის სტადიონზე უნდა ჩატარებულიყო გადამწყვეტი შეხვედრა თბილისის „ივერიასა“ და ვლადივოსტოკელთა შორის, მაგრამ ჩვენი გუნდის მეტოქე სათამაშოდ არ გამოცხადდა. თბილისელთა მოთავარმა მწვრთნელმა გელა ჩიხრაძემ გვაცნობა, ვლადივოსტოკელთა რამდენიმე კეტბურთელი შეუძლოდ ყოფილა და მეორე დღისათვის გადაიდო თამაშიო. მაგრამ მეორე დღესაც გაუწბილდათ იმედი მაყურებლს. ისევ გელა ჩიხრაძემ გვაუწყა, მეტოქეები მოწამლულან და არც დღეს ვითამაშებთო. გავემართეთ დიღმის ტურბაზაში, სადაც ჩამოსული სპორტსმენები დაბინავდნენ. იქ იყო შეჯიბრების მთავარი მსაჯიც ვალერი პეტროსიანი, მაგრამ სიტუაციის ახსნა ვერც მან და ვერც სხვამ ვერ შეძლო. სამაგიეროდ, ვნახეთ კოლექტიური წერილი საკავშირო სპორტსახკომის სპორტული თამაშების განყოფილების უფროსის სახელზე, რომელსაც ხელს აწერს ყველა გუნდის მწვრთნელი (თბილისელთა გარდა). ბარათში ტურის შეწყვეტის მიზეზად ჩამოთვლილი იყო უამრავი ბრალდება, კერძოდ, თითქოს დიღმის ტურბაზაში საშინელი ანტისანიტარია სუფევდა, არ თბებოდა საცხოვრებელი ოთახები (?!), რის გამოც ჩაცმულებს ეძინათ (?!). უფრო მეტიც, მონაწილეები თურმე გააკვირვა ანტისანიტარიამ კვების ბლოკში და საჭმლის უვარგისობამ. არც სხვა რაიმე დაწესებულება იყო ახლოს, რომ სხვაგან მაინც გვეჭამა საჭმელი! ყოველივე ამან, მათივე მტკიცებით, გამოიწვია სპორტსმენთა მასობრივი მოწამვლა და იქვე ჩამოთვლილია დაზარალებული სპორტსმენები, მათ შორის ვოროშილოვგრადისა და ბაშკირეთის გუნდების წარმომადგენლებიც (თუმცა სულ სხვას მოწმობს ბაშკირეთის გუნდის მწვრთნელის მოხსენებითი ბარათი მთავარი მსაჯის სახელზე. გ. ბ.). წერილის ავტორები მსაჯობასაც უჩიოდნენ: თბილისის გუნდს ეხმარებოდნენ გამარჯვებაშიო (ესტონეთის გუნდის მწვრთნელი რაღას ერჩოდა მასპინძლებს: „ივერიამ“ აკი პირველივე თამაში მათთან წაგო. ამ გუნდის მწვრთნელმა აღნიშნა, რომ მხოლოდ ცუდი მსაჯობის გამო მოაწერა ხელი წერილს. ასე თქვა: მეგონა (?) მსაჯები „ივერიას“ ემხრობოდნენო).

მოხსენებითი ბარათი დაწერილია 22 სექტემბერს. სამწუხაროდ, მოწამვლის შემთხვევები მართლაც იყო, მაგრამ არა იმ მიზეზით, ჩვენმა სტუმრებმა რომ აგვიწერეს... მოგვიანებით ვნახეთ სხვა ბარათიც, დირექტორის სახელზე დაწერილი: მოსკოვის, ლენინგრადის და ვლადივოსტოკის გუნდის ხელმძღვანელებს არავითარი პრეტენზიები არ გვაქვს დიღმის ტურბაზის ადმინისტრაციის მიმართო. ამას რომ თავი დავანებოთ, 21 და 22 სექტემბერს ტურბაზის სასადილოთი უსარგებლია 300-ზე მეტ ადამიანს და სპორტსმენების გარდა არავის გამოუთქვამს რაიმე პრეტენზია.

კიდევ ვიმეორებთ, მოწამვლის ფაქტები იყო — 11 კეტბურთელი თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში მოთავსებულ (სხვადასხვა დროს), შემდეგ რამდენიმე მონაწილემ თვითნებურად დატოვა საავადმყოფო. 24 სექტემბერს ტურბაზაში მიიწვიეს პროფესორი ამირან კვიტაიშვილი, მაგრამ მისი დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, სპორტსმენებმა უარი თქვეს გამოკვლევაზე და საავადმყოფოში დაწოლაზე, ამასთან ვლადივოსტოკის გუნდმა 24 სექტემბერსვე დატოვა თბილისი. ყველაფერი ეს შეთქმულებას ჰგავდა, ამასვე ეჭვობდა შეჯიბრების მთავარი მსაჯი ვალერი პეტროსიანი, მაგრამ მაინც უცდიდა სამედიცინო ანალიზების პასუხს, ამის გარეშე გარკვეულად ვერაფერს გეტყვითო, მაგრამ დაადასტურა დიღმის ტურბაზის თანამშრომლების მტკიცება, რომ სპორტსმენები ხშირად არღვევდნენ რეჟიმს, ისიც თქვა: ეს ყველაფერი აქტით მაქვს აღნიშნულიო (სამწუხაროდ, მხოლოდ ორი შემთხვევა იმ მრავალთაგან): ერთ-ერთი მოსკოველი უგონოდ მთვრალი შეუყვანიათ მილიციის თანამშრომლებს პირდაპირ მსაჯთა კოლეგიის სხდომაზე, ასევე, თავისი თვალით უნახავს მოსკოველი მოთამაშეები, რომლებიც დამსვენებელ ქალებთან ერთად სპირტიან სასმელს შეექცეოდნენ (მათგან ერთ-ერთი შემდეგ მოსკოველთა მწვრთნელმა ავადმყოფთა სიაში დაასახელა). ამაზე უფრო ადრე „სინათლის“ სტადიონზეც (23 სექტემბერს) ერთ-ერთმა თანამშრომელმა გვითხრა, ბევრი ბოთლები გაგვაქვს ბაზიდან სპორტსმენებისგან დატოვებული, ზოგი, ვინც არ თამაშობდა, აქვე, მოფარებულში სვამდაო. საერთოდ კი, უნდა მოგახსენოთ, რომ მთელ ამ ამბავში ძალზე ხშირად ისმის: „ბოთლი“, „დალევა“...

როგორც ვთქვით, დიაგნოზით დადგინდა საჭმლით მოწამვლა და დიზინტერია, მაგრამ...

აი, რას ვკითხულობთ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის საბურთალოს რაიონის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის მიერ გაცემულ სამედიცინო დასკვნაში:

„...სპორტსმენთა (კეტბურთელთა) საცხოვრებელი ოთახების შემოწმებისას დადგინდა, რომ ისინი არ იცავენ პირადი და საზოგადო ჰიგიენის წესებს, ოთახებში უწესრიგოდაა მიმოფანტული პირადი ნივთები და ტანსაცმელი, დანაგვიანებულია საჭმლის ნარჩენებით, ღვინის ბოთლებით. საჭირო შეიქმნა ტურბაზის კვების ბლოკის სანიტარულ-ტექნიკური და ჰიგიენური მდგომარეობის შემოწმება, რომლის შედეგადაც არ აღნიშნულა არავითარი საგანგაშო მდგომარეობა, რომელსაც შეეძლო გამოეწვია მოწამვლა. კვების ბლოკიდან საანალიზოდ აღებული იქნა არაყანი, ხაჭო, პამიღვრის საწებელა, თევზი, შპროტი. გამოირკვა, რომ დაავადების უჩიოდნენ: ვლადივოსტოკიდან — ხუთი სპორტსმენი, მოსკოვიდან — სამი, ლენინგრადიდან — სამი. ტურბაზაში ასევე ცხოვრობდნენ რიგელი მორაგბეები, ველოსიპედისტი გოგოები გორკიდან და კუიბიშევიდან. ხუთი მათგანიც უჩიოდა დაავადებას“...

საბოლოოდ კი გამოირკვა, რომ ვლადივოსტოკის გუნდის წევრებს ჩამოტანილი ჰქონდათ შებოლილი „წითელი თევზი“, რომლითაც ისინი სხვა გუნდების წევრებსაც გაუმასპინძლდნენ. სამედიცინო დასკვნაში ასევე ვკითხულობთ: „...აღნიშნული თევზის არსებობა და გამოყენება (ვლადივოსტოკის გუნდის წევრებმა გამოკითხვის დროს დამალეს“.

განვაგრძოთ სამედიცინო დასკვნის კითხვა:

„...საბურთალოს რაიონის სანეპიდსადგურის მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დადგინდა: არ აღმოჩნდა პათოლოგიური მიკრობები სასადილოდან აღებული პროდუქტების სინჯებზე.

„წითელი თევზის“ გამოკვლევის შედეგად, რომელიც ჩამოტანილი იყო ვლადივოსტოკის გუნდის წევრების მიერ, დადგინდა:

ორგანოლეპტიურად — ლორწოვანი, რბილი კონსტრუქციის, მძაფრი სუნის.

ბაქტერიოლოგიური გამოკვლევით:

1) მიკრობთა მოთვალინება — მასიური, ეამრავალ რიოდენობით.

2) ნაწლავის ჩხირთა არსებობა — აღმოჩნდა ენტერო-პათოგენური ნაწლავის ჩხირი დიდი რაოდენობით.

3) პათოგენური სტაფილოკოკები არ აღმოჩნდა.

4) პროტეუსის ჯგუფის მიკრობები აღმოჩნდა დიდი რაოდენობით.

5) შიგელებისა და სალმონელების ჯგუფის მიკრობები აღმოჩნდა დიდი რაოდენობით.

დასკვნა: ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ საკავშირო შეჯიბრებაზე ჩამოსულ სპორტსმენთა დაავადება გამოიწვია ვლადივოსტოკის გუნდის წევრების მიერ ჩამოტანილმა „წითელმა თევზმა“, რომლითაც ისინი გაუმასპინძლდნენ სხვა გუნდის წევრებსაც, რასაც ადასტურებს რესპუბლიკის კლინიკური ინფექციური საავადმყოფოსა და საბურთალოს რაიონის სანეპიდსადგურის ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიების მიერ ჩატარებული ანალიზი და ტურბაზის მცხოვრებთა ეპიდემიოლოგიური კვლევა.

საბურთალოს რაიონის სანეპიდსადგურის მთავარი ექიმი გ. ს. დიდებულიძე“.

ვფიქრობთ, ტურნირის შეწყვეტის მიზეზი (ამაზე მრავალი ფაქტი მიგვანიშნებს) მარტო ის ავადსახსენებელი „წითელი თევზი“ არ უნდა იყოს. როდესაც ნათელი გახდა, რომ „ივერია“ წარმატებით თამაშობს და უკვე ძნელი იყო იმაზე ფიქრი, რომ იგი პირველი ლიგის საგზურს დათმობდა, მაშინ უნდა დაბადებულიყო იმ კოლექტიური წერილის იდეა. დამარცხებულ გუნდებს თავთავიანთ ქალაქში, ცხადია, თავზე ხელს არავინ გადასვამდა, მით უმეტეს, რომ ზოგი გუნდი დიდი იმედით ჩამოვიდა თბილისში, მაგალითად, ვლადივოსტოკელები წინასწარ ერთი თვით გაუგზავნიათ იაპონიაში ოსტატობის ასამაღლებლად. აქ ეჭვს აძლიერებს ორი სხვადასხვა შინაარსის წერილი დიღმის ტურბაზის ადმინისტრაციის სახელზე. ის არაობიექტური მსაჯობის ბრალდებაც სწორედ ამისთვის სჭირდებოდათ, თორემ მოთამაშეები ხომ მართლაც მოიწამლნენ (თუმცა საკუთარი მიზეზით) და სრული უფლება ჰქონდათ ტურნირის შეწყვეტა მოეთხოვათ, ოღონდ ობიექტური ახსნა-განმარტებით.

ზია ბურდული.

ცხვარიჭამიას დაინქმს და იქვე დაამთავრებს



ცხვარიჭამიას მიდამოებში თბილისის ტურისტული კლუბის წევრებმა ამ გაზაფხულზე თავიანთი შეკრება-შეჯიბრებისთვის ულამაზესი ადგილი შეარჩიეს და რესპუბლიკური ასპარეზობაც იქ გამართეს. ეს ადგილი არა მარტო ბუნების სიმშვენიერით, არამედ წმინდა სპორტული თვალსაზრისითაც ყველას მოეწონა.

და აი, თბილისელმა ტურისტებმა თავიანთი სეზონის დამთავრების საშემოდგომო შეკრება- შეჯიბრებისთვის კვლავ ცხვარიჭამიას მიდამოებს მიაშურეს. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სხვადასხვა წინაღობის გადალახვაში, აზომუტის გამოყენებაში, კარვის გაშლაში, „დაშავებულის“ გადაყვანაში, კოცონის დანთებაში... 5-კილომეტრიან ტრასაზე მათ 9 ეტაპი ჰქონდათ გადასალახავი.

ყველაზე უკეთ იასპარეზეს თბილისის ფიზკულტურის ტექნიკუმის წარმომადგენლებმა. მეორე იყო „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს გუნდი, რომელიც ძირითადად თბილისის მე-18 პროფტექსასწავლებლის მოსწავლეებით დაკომპლექტებული გამოდიოდა. მესამე ადგილი წილად ხვდათ თბილისის ტურისტული კლუბის წარმომადგენლებს.

ვიქტორ ბუკინის ფოტოები.



გაისად — პირველ ლიგაში

(დასასრული)

იგდო ლიდერობა. მაგრამ „ფეიქარმა“ შეძლო ორი ბურთის გატანა (გ. მამარდაშვილი, ი. საფრონოვა), საკუთარ კარში კი მხოლოდ ერთი ჰიიღო და მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვა — 2:1.

გადამწყვეტი გამოდგა მატჩი უანზანის „კომუნალშჩიკთან“, რომელიც ჩვენმა გოგოებმა დიდი აღმავლობით ჩაატარეს, დენისოვამ და მამარდაშვილმა ორჯერ აიღეს მეტოქის კარი და „ფეიქარმა“ ასე ნანატრი გამარჯვება მოიპოვა 2:0. ამით მან საკავშირო პირველობის ფინალურ ტურნირზე პირველი ადგილი დაიკავა და გაისად პირველ ლიგაში გამოსვლის უფლება მოიპოვა, რაც ჩვენი ახალგაზრდული გუნდის დიდ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ.

„ფეიქარის“ ღირსებას (გუნდის უფროსი რევაზ ხუციძე, უფროსი მწვრთნელი ავთანდილ .თევდორაძე) იცავდნენ: ნონა თევდორაძე, მაკა დათიაშვილი, გურანდა შარაშენიძე (მოთამაშე მწვრთნელი), მედეა მამარდაშვილი (გუნდის კაპიტანი), ფიქრია მამარდაშვილი, ირინა დენისოვა, ირმა კვაჭანტირაძე, მარინა მახარეიშვილი, ინა საფრონოვა, ელისო კილაძე, ქეთინო კანკაძე, ირმა ბურჯანაძე, ირმა მანწკავა, მაია კახიძე, თამილა გეგელია, ნათუნა მელაძე. გუნდის მასაჟისტია ნატო გოგლიჩიძე.

— ამ წარმატებაში, — გვითხრა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, — დიდი დახმარება გაგვიწიეს აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების (გენერალური დირექტორი ხ. მელქაძე) კოლექტივმა, რომლის სახელითაც ჩვენ გამოვდივართ საკავშირო სარბიელზე, აგრეთვე სპორტკომიტეტმა და ბალახის ჰოკეის რესპუბლიკურმა ფედერაციამ, სპორტკომიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სკოლამ, ჩვენი ჰოკეისტები სწორედ ამ სკოლის აღსაზრდელები არიან, აქ ბავშვებთან ნაყოფიერად მუშაობენ ახალგაზრდა მწვრთნელები დ. გოლეთიანი და დ. ძოწენიძე...

ტურნირს ესწრებოდა საკავშირო სპორტსახკომის სახელმწიფო მწვრთნელი ბალახის ჰოკეიში ანდრეი ნიმიანოვი, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა ტურნირის ორგანიზაციულ მხარეს. ასევე აღნიშნა „ფეიქარის“ კარგი თამაში, — თუმცა, — თქვა მან, — გუნდს მეტი მუშაობა და მომზადება დასჭირდება, რომ ღირსეულად იბრძოლოს პირველი ლიგის გამოცდილ კოლექტივებთან.

დასასრულს კი დაასახელა ის ქუთაისელი ჰოკეისტები, რომლებიც საკავშირო ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატებად მიიწვია. ესენი არიან მეკარე ნ. თევდორაძე, აგრეთვე მ. მამარდაშვილი და ი. საფრონოვა.

ჩვენ კი გვინდა კიდევ ერთხელ მივულოცოთ წარმატება ჩვენს ჰოკეისტ გოგოებს და მომავალი წარმატებები ვუსურვოთ მათ საკავშირო სარბიელზე.

თამაზ კოლხიდელი.
(„ლელოს“ ხაკ. კორ.)

ლიდერთან გაყოფილი ქულა

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელ ქალთა გუნდმა I ლიგის 57-ე საკავშირო პირველობის სტარტზე სტუმრად ორივე მატჩი მოუგო რიგის ტტტ-ს, რომლის შესახებ უკვე ვიუწყებრდით. მომდევნო ორი შეხვედრა ჩვენმა კალათბურთელებმა კაუნასში გამართეს ადგილობრივ „ბანგასთან“. პირველ მატჩში მასპინძლების უპირატესობა აშკარა იყო და მათ 16-ქულიანი სხვაობით იმარჯვეს — 76:60 (47:25), მეორე ორთაბრძოლაც კაუნასელებმა მოიგეს, ოღონდ ამჯერად თამაშის ბედი ორმა ქულამ გადაწყვიტა. 75:73 (43:42) — ასე დამთავრდა ეს შეხვედრა.

ამ დღეებში პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენებმა შინ ითამაშეს ერთ-ერთ ლიდერ — ფრუნზეს „სტროიტელთან“. შუაზიელ კალათბურთელებს ამ შეხვედრებამდე ქულათა მაქსიმუმი ჰქონდათ დაგროვილი — მათ შინ ორ-ორჯერ დაამარცხეს გორკის „შრომითი რეზერვები“ და პენზის „სპარტაკი“. ჩვენმა გუნდმა ლიდერთან პირველ შეხვედრაში თავდადვე ხელთ ფდო უპირატესობა. მასპინძლებს ამ დღეს ყველაფერი გამოსდიოდათ — ზუსტად ისროდნენ ახლოდა შორი მანძილებიდან, ადვილად იგებდნენ ფარქვეშ ბრძოლასაც, ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ პირველი ნახევარი 13 ქულით (43:30), საბოლოოდ შეხვედრა კი 23 ქულით მოიგეს — 89:66. ამ დღეს გამარჯვებულთ ყველაზე მეტი ქულა (20) ნ. კურტანიძემ შესძინა, სტუმართაგან საუკეთესო იყო ი. შირობოკოვა — 24 ქულა.

განმეორებით შეხვედრაში სურათი მკვეთრად შეიცვალა. მდევართა როლში ამჯერად მასპინძლები იყვნენ, რომლებიც შეტევებისას იოლად კარგავდნენ ბურთს, ტყორცნებიც ყოველთვის ვერ აღწევდა მიზანს, რამაც სტუმრებს რევანშის საშუალება მისცა — „სტროიტელმა“ გაიმარჯვა 85:72 (45:37). მედეა მხეიძემ 16 ქულა შესძინა ჩვენს გუნდს, ფრუნზელთაგან საუკეთესო ისევ ი. შირობოკოვა აღმოჩნდა — 25 ქულა.

მომდევნო ორ თამაშს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი ისევ შინ გამართავს. 25-26 ოქტომბერს იგი სვერდლოვსკის „ურალმაშს“- უმასპინძლებს.

ვაჟა დანელია.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში
უმაღლესი ლიგა

22 და 23 ოქტომბერს გაიმართა სსრ კავშირის 1989 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლოსწინა, 29-ე ტურის შეხვედრები.

22 ოქტომბერი
„ტორპედო“ — „ჩერნომორეცი“ 5:2
„როტორი“ — „პამირი“ 1:0
„მეტალისტი“ — „დინამო“ მ. 0:1
„შახტიორი“ — „დინამო“ მნ. 3:2
„არარატი“ — „ლოკომოტივი“ 0:2

23 ოქტომბერი
თბილისის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ვილნიუსის „უალგირისი“.

ეს იყო მეტად დიდმნიშვნელოვანი შეხვედრა, თბილისელები ჩემპიონატის ფინიშზე კვლავ უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოდნენ, ხოლო „უალგირისის“ პერსპექტივები გაცილებით უკეთესია, მას შესაძლებლობა ჰქონდა შეენარჩუნებინა უეფა-ს თასზე მონაწილეობის უფლება.

თამაში დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა და დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით, ანგარიშით 3:1. ამ მატჩის მოგების შემდეგ თბილისის „დინამომ“ დააგროვა 24 ქულა და შეინარჩუნა ადგილი უმაღლეს ლიგაში.

„სპარტაკი“ — „დინამო“ კ. 2:1

რაც შეეხება მოსკოვის „სპარტაკს“, კიევის „დინამოსთან“ მოპოვებული გამარჯვებით მან გათამაშების დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე გაიაღდა ფეხბურთში სსრ კავშირის 1989 წლის ჩემპიონის წოდება.

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი ● მდგომარეობა 24 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	29	17	10	2	48-17	44
„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	28	17	5	6	43-24	39
„დინამო“ (კიევი)	29	13	11	5	42-25	37
„უალგირისი“ (ვილნიუსი)	29	13	8	8	37-28	34
„ტორპედო“ (მოსკოვი)	29	11	12	6	38-24	34
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	29	10	9	10	37-39	29
„მეტალისტი“ (ხარკოვი)	29	10	9	10	30-33	29
„დინამო“ (მოსკოვი)	29	8	12	9	30-26	28
„დინამო“ (მინსკი)	29	10	7	12	33-33	27
„როტორი“ (ვოლგოგრადი)	29	9	9	11	28-34	27
„არარატი“ (ერევანი)	29	8	8	13	25-39	24
„დინამო“ (თბილისი)	29	6	12	11	25-30	24
„შახტიორი“ (დონეცკი)	29	9	5	15	24-35	23
„პამირი“ (დუშანბე)	29	7	9	13	20-38	23
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	29	6	9	14	19-32	21
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	28	5	9	14	21-43	19

ცხრილში შეტანილი არ არის „ზენიტისა“ და „დნეპრის“ მატჩის შედეგი.

დუბლიორთა მატჩი

თბილისის გ. დიმიტროვის საყელბის საავიაციო ქარხნის სტადიონზე შედგა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის სათადარიგო შემადგენლობათა შეხვედრა. თბილისის „დინამომ“ ვილნიუსის „უალგირისს“ უმასპინძლა.

შეხვედრა დამთავრდა ვილნიუსელთა გამარჯვებით — 2:1, თბილისელთაგან გოლი რ. კერძევაძემ გაიტანა.

„დინამოს“ შემადგენლობა: ჭანტურია, ფოფხაძე, თ. ყიფიანი, ჭედია, მაჭავარიანი, გერგედავა (ცავა), გელაძე, ჯამარაული (ხურცილავა), კერძევაძე, ლ. ყიფიანი, ყიზილაშვილი (ზეიკიძე).

I ლიგა

დამთავრდა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო თასის გათამაშება. გადამწყვეტ, ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ტაშკენტის „ფახთაქორი“ და ლანჩხუთის „გურია“.

თამაში სოჩის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა 10.000 მაყურებლის თანდასწრებით. პირველი ტაიმის დაძაბულ ბრძოლას შედეგი არ გამოუღია — 0:0. შესვენების შემდეგ, პირველივე წუთებზე, აბდურაიმოვმა და მუჰადოვმა ზედიზედ ორი ბურთი გაიტანეს „გურიის“ კარში. ამის შემდეგ ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა ხელთ აიღეს ინიციატივა, მაგრამ მაქსიმუში, რასაც მიაღწიეს, იყო 59-ე წუთზე კაციტაძის მიერ გატანილი ერთი საპასუხო ბურთი. ამგვარად, I ლიგის თასი წლეულს „ფახთაქორმა“ მოიპოვა — 2:1.

ბათუმელთა ნარმატება

ბათუმი შედგა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში ადგილობრივ „დინამოსა“ და თურქეთის ქ. ტრაპიზონის „ტრაბზონსპორს“ შორის. თამაში მასპინძელთა უპირატესობით მიმდინარეობდა და მათივე გამარჯვებით დამთავრდა — 5:2.

ბათუმელთაგან ბურთები გაიტანეს: ბიგვავამ, ჯოხაძემ (11-მეტრიანით), ათუაშვილმა, ი. მახარაძემ და კოკლიაშვილმა.

„ლელოს“ კორ.

მეოთხედფინალები — 28 ოქტომბერს

კვირას, 22 ოქტომბერს „ბურევესტნიკის“ სპორტკომპლექსმა კვლავ უმასპინძლა მინიფეხბურთელთა ჩემპიონატის მერვედფინალურ შეხვედრებს თბილისის უბნებს შორის.

მერვედფინალებში ხელი მოეცარათ ასპარეზობის მთავარ პრეტენდენტებს „ვერისა“ და „ოქროსუბანის“ გუნდებს, რომლებიც შესაბამისად დამარცხდნენ დიდმელ და ვაკელ ფეხბურთელებთან.

აღსანიშნავია, „საბურთალო“-I და „კუს ტბის“ შეხვედრაც. საბურთალოელთა გუნდის სპონსორია ავსტრიისა და საქართველოს ერთობლივი ფირმა „მეტეხი“, რომელიც უზრუნველყოფს კოლექტივს საჭირო ინვენტარით. მომავალი წლიდან საბურთალოელთა გუნდი ასპარეზობებზე „მეტეხის“ სახელით გამოვა. ეს მატჩი „კუს ტბასთან“ საბურთალოელთა გამარჯვებით დამთავრდა — 5:2.

მეოთხედფინალურ შეხვედრებში, რომლებიც 28 ოქტომბერს გაიმართება, მეტოქეები ასე დაწყვილდნენ: „ვაზისუბანი“ — „დიღომი“, „სოლოლაკი“ — „დიდუბე“, „საბურთალო“-I — „ჩუღურეთი“, „ვაკე“ — „საბურთალო“-III.

მიხეილ აბაიშვილი.

უეფა-ს თასზე

უეფა-ს გათამაშების მეორე წრის პირველი ტურის მატჩში შვეიცარიის ქალაქ სიონში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სიონისა“ და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის „კარლ-მარქს-შტადტის“ ფეხბურთელები. გამარჯვება წილად ხვდა „სიონს“ — 2:1.

„აია“ ამარცხებს „გრივიცა როშიეს“

როგორც უკვე გაცნობეთ, ქვეყნის წლევანდელმა ჩემპიონმა ქუთაისის „აიამ“ მაიაკოვსკში საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ჩაატარა რუმინეთის მორაგბეთა გუნდ „გრივიცა როშიესთან“. გთავაზობთ „ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტის თამაზ ხარაბაძის ანგარიშს ამ შეხვედრის შესახებ.

მაიაკოვსკის ცენტრალური სტადიონი. 17 ოქტომბერი.

„აია“ (ქუთაისი) — „გრივიცა როშიე“ (ბუქარესტი, რუმინეთი) — 18:12 (9:0).

„აია“: ბაბუნაშვილი, გაბიძაშვილი (ტურძელაძე), ლილუაშვილი, გოგსაძე (ნემსიწყვერიძე), ინაკაძე, ზ. ლიპარტელიანი, ფხაკაძე, ოდიშარია (შვანგირაძე), ტყაბლაძე, ნამაშურიძე, მაჩიტიძე, გეგუჩაძე, ხარშილაძე, ძაგნიძე, ყორყოლიანი.

„გრივიცა როშიე“ — ნიკუ, გიორგიუ, ტომა, იონი, სტროიე (ტუდოსე), დინუ, კირჩეი (ნიცე), მარიანუ (შერბანი), უდროიუ, რადუ, ტუდოლი, დრეგუ, ნიკოლაი, კალაფეტიანუ, ჩოლანი.

მაჯი. ცქიტიშვილი (ქუთაისი).

როგორც რაგბის გულშემატკივრებისათვის ცნობილია, ჩვენთან სტუმრად იმყოფება რუმინეთის მორაგბეთა გუნდი „გრივიცა როშიე“. ევროპის ამ ერთ-ერთ უძველეს საკლუბო გუნდს საუკეთესო ტრადიციები აქვს, იგი რუმინეთის მრავალგზის ჩემპიონი და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელია. იგი არც ახლა თმობს პოზიციებს და ეროვნულ ჩემპიონატში ჯერჯერობით „სტიაუასა“ და „დინამოს“ შემდეგ მესამე ადგილზე იმყოფება. „გრივიცა როშიეს“ შვიდი წამყვანი სპორტსმენი ქვეყნის ნაკრების წევრია, ხოლო რუმინეთის ნაკრების სიძლიერე ყველასთვის კარგადაა ცნობილი.

წლეულს „აიამ“ ორი მატჩი ჩაატარა რუმინეთში, მაშინ ჩვენმა მორაგბეებმა დიდი ანგარიშით სძლიეს. ახალგაზრდულ ნაკრებს — 42:0, ხოლო „გრივიცა როშიესთან“ დამარცხდნენ ანგარიშით — 16:18. და ახლა, როცა რუმინელები საპასუხო ვიზიტით გვეწვევნენ, სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონებს მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებდათ, რევანში აეღოთ ბუქარესტში განცდილი დამარცხებისათვის და ასევე „აიას“ ახალგაზრდული გუნდის წაგებისთვის, 15 ოქტომბერს ხომ ბუქარესტელებმა ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე „აიას“ ახალგაზრდულ შემადგენლობას სძლიეს დიდი ანგარიშით — 40:12.

ამ მეტად საინტერესო ამხანაგური საერთაშორისო მატჩის წინ „აიას“ წინაშე არაერთი პრობლემა იდგა. გუნდის უფროსი მწვრთნელი დ. კვთელაშვილი და წამყვანი მოთამაშეები ნ. ძაგნიძე, მ. ლოსაბერიძე, ვ. ზუევი და გ. ფირცხალავა მოსკოვში იყვნენ შეკრებაზე ქვეყნის პირველ ნაკრებში, რომელიც ამ დღეებში ევროპის ჩემპიონატის მატჩში ბუქარესტში ეთამაშება რუმინეთის გუნდს. ამასთან, ტრავმირებული იყო ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მორაგბე.

მიუხედავად ამისა, ჩვენმა გუნდმა საკმაოდ მაღალი ტემპით დაიწყო თამაში და სულ მალე ახალგაზრდა გარე ნახევარმცველმა კ. მაჩიტიძემ თავისი ინდივიდუალური გარღვევა ეფექტური ლელოთი დაასრულა. ლილუაშვილმა რეალიზაცია გამოიყენა და „აია“ დაწინაურდა ანგარიშით 6:0. ამ დღეს თავის ახალგაზრდა კოლეგებს მონდომებული და ოსტატური თამაშის საუცხოო გაკვეთილს აძლევდა გუნდის ვეტერანი ბესარიონ ლილუაშვილი, რომელმაც ზუსტად დაარტყა საჯარიმო. ამრიგად, ტაიმი „აიამ“ მოიგო დამაჯერებელი ანგარიშით — 9:0.

მეორე ტაიმი კიდევ უფრო დაძაბული გამოდგა, სტუმრები მთელი ძალებით შეეცადნენ თამაშის მსვლელობაში გარღვევის შეტანას და მთელ რიგ ეპიზოდებში საუცხოო ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადებაც აჩვენეს. ამის დასტურია ის ლელოც, რომელიც მათ 55-ე წუთზე გაიტანეს დრეგუს სწრაფი შეტევის შემდეგ. რადუმ რეალიზაციაც ზუსტად გამოიყენა. ორთაბრძოლა კიდევ უფრო დაიძაბა. აქ გადამწყვეტი სიტყვა თქვეს ჩვენი გუნდის ორივე თაობის წარმომადგენელთა შეთანხმებულმა თამაშმა. ჯერ ლილუაშვილმა საკმაოდ მახვილი კუთხიდან ზუსტად დაარტყა საჯარიმო, ხოლო ახალგაზრდა სამმეოთხედელის ემზარ ძაგნიძის სწრაფი გარღვევის შემდეგ კიდევ ერთმა ვეტერანმა ბათლომე ხამაშურიძემ მეორედ დალაშქრა სტუმართა „ქალაქი“.

მატჩის მიწურულს რუმინელთა აქტიურობით აღინიშნა, მძიმე სეზონის შემდეგ, ბუნებრივია, ქუთაისელებს დაღლა დაეტყოთ, შეცდომებმაც იჩინეს თავი, რადუმ ჯერ საჯარიმოდან, შემდეგ არეკნით შესანიშნავი ბურთებიც გაიტანა.

მიუხედავად ამისა, აიელებმა შეინარჩუნეს გამარჯვება (18:16) და რევანშიც აიღეს.

აქვე არ შეიძლება არ ითქვას მაიაკოვსკის რაიონის ხელმძღვანელებისა და მშრომელების შესახებ. მათ გულთბილად მიიღეს მორაგბეები და ნამდვილად იმერული მასპინძლობაც გაუწიეს.

ასე წარმატებით დაამთავრა ქუთაისის „აიამ“ 1989 წლის სპორტული სეზონი როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო სარბიელზე.

უმცროსმა აიელებმაც იმარჯვეს

ქართული სპორტის გულშემატკივრებს დიდი სიხარული მიანიჭა ქუთაისის „აიას“ მორაგბეთა გუნდმა, რომელმაც წელს მესამედ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის საპატიო ტიტული. უფროსებს არც უმცროსი აიელები ჩამორჩნენ. ამას წინათ მათ პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საკავშირო პირველობაზე იასპარეზეს უფროსი ასაკის ჭაბუკთა შორის და დამაჯერებლადაც გაიმარჯვეს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ ასაკის სპორტსმენთა შეჯიბრებები სხვა ხაზოგადოებებში არ ტარდება, თამამად შეიძლება ითქვას, რომ რიონისპირელი ჭაბუკები ქვეყნის ჩემპიონები არიან თანატოლებს შორის.

ამ ასპარეზობისთვის, რომელიც მოლდავეთის საკურორტო ქალაქ ვოდულ-ლეი-ვოდიში ჩატარდა, ქუთაისელთა გუნდი მოამზადეს საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა რ. სვანაძემ და ა. ნიქაბაძემ.

სურათზე: ქუთაისის „აიას“ ჭაბუკი მორაგბეები.

ჩემპიონობა — მეორე შემადგენლობით

ბათუმის ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სკოლის დარბაზში ხუთ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს ქალთა ჩემპიონატის ფინალური ასპარეზობა ფრენბურთში.

ამ შეჯიბრებაში კარგად გამოვიდნენ თბილისის ნაკრები და ასევე დედაქალაქის ბავშვთა სპეციალიზებული ოლიმპიური რეზერვების სკოლის ფრენბურთელები. სწორედ ისინი შეხვდნენ ერთმანეთს ფინალურ ასპარეზობაში. მატჩი თბილისის ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა — 3:0.

ამრიგად, თბილისის ნაკრებმა, რომელიც ამ ჩემპიონატზე მეორე შემადგენლობით წარსდგა, ყველა მეტოქე დაამარცხა და საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა. გუნდი შეჯიბრებისთვის მოამზადა მწვრთნელმა ტაისა ხანუკაევამ.

მესამე ადგილისათვის დავაში გორელმა ფრენბურთელებმა ანგარიშით 3:0 დაამარცხეს სამტრედიელი სპორტსმენები.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ გავესაუბრეთ რესპუბლიკის სპორტსახკომის მთავარ მწვრთნელს ფრენბურთში, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრს ედუარდ სანთელაძეს.

— შეჯიბრებაში დამსახურებული გამარჯვება თბილისის ნაკრებს ხვდა, პირველი ნაკრები ამჟამად მთელი პასუხისმგებლობით ემზადება ტალინის საერთაშორისო ტურნირში საასპარეზოდ. თბილისელთა გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს ნ. თურმანიძემ და ხ. გიორგაძემ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს გუნდიდან გამოვყოფდი ლ. ურუშაძეს, სამტრედიელ ნ. ლეკავას, გორელებს ა. ბაბკინას, მ. ამბროსაშვილს და ხ. ბაჩაძეს.

— სამწუხაროდ, გაკვირვებას იწვევს ბათუმის ფრენბურთელთა გუნდის უსუსური თამაში, შავიზღვისპირელმა სპორტსმენებმა ყველა მატჩი წააგეს და ბოლო, V ადგილზე გავიდნენ. ეტყობა, ქალთა ფრენბურთი აქარაში დღესდღეობით ჩიხშია მოქცეული.

ოთარ მურვანიძე.
(ჩვენი კორ.)

მინაწერი: მარტო აქარაში კი არა, ქალთა ფრენბურთი მთელ საქართველოში ორივე ფეხით მოიკოჭლებს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ რესპუბლიკის უძლიერესის წოდება მოიპოვა გუნდმა, რომლის ღირსებას იცავდა... მეორე შემადგენლობა. ეს ძალზე დამფიქრებელია და, ალბათ, ხათანადო მსჯელობისა და კონსტრუქციული დასკვნების გამოტანას მოითხოვს.

სპორტსმენთა ბიოლოგიური ასაკი

1987 წელს ჩვენს ქვეყანაში ძალაში შევიდა მეცნიერების უახლესი მიღწევების საფუძველზე შემუშავებული სპორტული სელექციის მრავალეტაპიანი სისტემა, რომელიც სპორტული ორიენტაციით იწყება და ოლიმპიური ნაკრები გუნდების კანდიდატების შერჩევით მთავრდება.

ამავე წელსვე საქართველოს სახალხო განათლების სამინისტრომ და რესპუბლიკის სპორტსახკომმა მიიღო ერთობლივი დადგენილება, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში ახალი სპორტული სელექციის პირველი ეტაპის დანერგვას ითვალისწინებდა. დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ეს წამოწყებული საქმე სანახევროდაც კი ვერ გაკეთდა.

სპორტული სელექციის დანერგვის შეფერხებას მოჰყვა ის, რომ ჩვენს რესპუბლიკაში სპორტსმენთა მომზადების ყველა ეტაპზე მათი შერჩევა სრული უძრაობით ხასიათდება, რაც სპორტული პოტენციალის სრულყოფილად გამოვლენას მნიშვნელოვნად ხელს უშლის. ასეთი მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდება, თუ ახალი სპორტული სელექციის პირველი ეტაპის დანერგვა სპორტული სკოლებიდან არ დაიწყო და მის პარალელურად შერჩევის შემდგომი ეტაპების დანერგვისათვის ნიადაგი არ მომზადდა.

სპორტული სელექციის დანერგვის ტემპები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მისი თანთანმიმდევრული ეტაპის შერჩევის ტექნოლოგიის გადამუშავებაზე და ეროვნულ თავისებურებებთან მის მისადაგებაზე. ამ მიმართებით უკვე გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები და ახლა ამ წერილით გვინდა მკითხველს გავაცნოთ სპორტული სელექციის ერთ-ერთი პარამეტრი — „ადამიანის ბიოლოგიური ასაკი“ და მის დინამიკაზე კონტროლის პრაქტიკული ღირებულება.

ცნობილია, რომ ადამიანის ზრდა-განვითარება სხვადასხვა მიზეზების გამო სპორტულ ასაკს შეიძლება შეესაბამებოდეს, ასწრებდეს ან ჩამორჩებოდეს. ზრდა-განვითარების მიდრეკილების განსაზღვრა ხდება ბიოლოგიური ანუ ჭეშმარიტი ასაკის გათვალისწინებით. ამდენად ინოთგენეზის ადეკვატური მაჩვენებელი ბიოლოგიური ასაკი უფროა, ვიდრე სპორტული ასაკი.

ზრდა-განვითარების დაჩქარება (აქსელერაცია), შეფერხება (რეტროდაცია) და სპორტულ ასაკთან ბიოლოგიური სიმწიფის სინქრონიზაცია ძირითადად ბენეტიკითაა განპირობებული, მაგრამ ბიოლოგიური სიმწიფის ამა თუ იმ მიდრეკილების ჩამოყალიბება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული აგრეთვე გარეშე ფაქტორებზეც

აქსელერაციაც და რეტროდაციაც შეიძლება ისე მკვეთრად მოხდეს, რომ ბიოლოგიურ და საპასპორტო ასაკს შორის სხვაობამ 5 წელსა და მეტსაც კი მიაღწიოს.

სპორტსმენთა ბიოლოგიური ანუ ჭეშმარიტი ასაკის დინამიკაზე კონტროლს შემდეგი ძირითადი პრაქტიკული ღირებულებანი გააჩნია:

— სპორტიდან ნაადრევი წასვლის შემთხვევები ამ ბოლო წლებში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა და სპეციალისტთა დიდ შეშფოთებას იწვევს. ამის გამომწვევ ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს მოზარდთა აქსელერაცია, რომლის შესახებაც ჩვენს რესპუბლიკაში ცოტა რამაა ცნობილი. პრაქტიკაში ბიოლოგიური ასაკის განსაზღვრის მეთოდიკის დანერგვა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება გარკვეულად შეამცირებს სპორტიდან მოზარდთა ნაადრევად წასვლის შემთხვევებს.

— ფიზიკური თვისებების განვითარების მაღალი ტემპები ახასიათებს აქსელერანტს, დაბალი — რეტროდანტს, ზომიერი — სინქრონისტს. ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლებში და სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე ფიზიკურ ნორმატივებს სხვა თანაბარ პირობებში ყველაზე უკეთ ჩააბარებს აქსელერანტი, შემდეგ — სინქრონისტი, რეტროდანტი კი ყველას ჩამორჩება. მათი ჩარიცხვის საკითხი კი ამ შედეგების მიხედვით წყდება, რის გამოც ყოველწლიურად ჩვენი სპორტული თვალსაზიერის მიღმა რჩებიან პოტენციურად პერსპექტიული მოზარდები. ფიზიკური მომზადების შეფასების დროს ბიოლოგიური ასაკის გათვალისწინების შემთხვევაში კონტინგენტის შერჩევა აღნიშნული ნაკლოვანებისაგან დაზღვეული იქნება.

ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლებსა და სასწავლებლებში ჩარიცხვის დროს, რა თქმა უნდა, უპირატესობა უნდა მიეცეს ფიზიკურად უკეთ მომზადებულს, მაგრამ ბიოლოგიური ასაკის ინდივიდუალური თავისებურებებს გამო ხომ შეიძლება ექსპერიმენტის საზით მაინც შეიქმნას რეტროდანტებისათვის ცალკე აკადემიური ჯგუფი და ამით სპორტული სელექცია კიდევ უფრო სრულყოფილი გახდება.

მოზარდთა ნაკრებ გუნდებში, ოლიმპიური რეზერვების, სპორტსკოლებისა და სასწავლებლების აკადემიურ ჯგუფებში შეტ-ნაკლებად არიან აქსელერანტები, რეტროდანტები და სინქრონისტები, სასწავლო პროგრამით კი ყველა მაუგანს თანაბარი სასწავლო საწვრთნელი დატვირთვები აქვთ დაგეგმილი. ეს გეგმა მიესადაგება მხოლოდ სინქრონისტს, რადგან მისი ზრდა-განვითარება საპასპორტო ასაკს შეესაბამება, აქსელერანტისათვის ნაკლები იქნება, რადგან იგი საპასპორტო ასაკით თანატოლზე ბიოლოგიური ასაკით უფროსია, ხოლო რეტროდანტისათვის — შეტი, როგორც ჩანს ბიოლოგიური ასაკის გაუთვალისწინებლობის გამო უნებლიედ ირღვევა ინდივიდუალური წვრთნის ოპტიმიზაციის პრინციპი, არაოპტიმალური წვრთნა კი ხელს უშლის ტექნიკური შედეგების პროგრესირებას და მოზარდის ნორმალურ ზრდა-განვითარებას.

სპორტს ყველაზე ადრე ტოვებს აქსელერანტი, შემდეგ — სინქრონისტი, რეტროდანტს კი ყველაზე უკეთესი სპორტული „დღეგრძელობა“ უწერია. ბიოლოგიური სიმწიფის შესახებ ინფორმაციის უქონლობის გამო მწვრთნელი ამ ინდივიდუალურ თავისებურებებს აქტიურ სპორტში მოზარდთა ყოფნის პერიოდის პროგნოზირების დროს ვერ ითვალისწინებს. იგი ეყრდნობა მხოლოდ იმ მომენტისათვის მათ ტექნიკურ შედეგებსა და ფუნქციონალურ მდგომარეობას.

ანტროპომეტრიული მაჩვენებლების მიხედვით შერჩევის დროს უპირატესობა, როგორც წესი, ეძლევა იმ მოზარდს, რომელიც მაღალია, მაგრამ ხომ შეიძლება ასეთი სუბიექტი აქსელერანტი იყოს და ბიოლოგიური ასაკით რეტროდანტ თანატოლ კონკურენტს რამდენიმე წლითაც კი აღემატებოდეს. როგორც ჩანს, ანტროპომეტრიული მაჩვენებლების მიხედვით შერჩევის დროსაც კარგი იქნება თუ მოზარდის ბიოლოგიურ ასაკსაც გავითვალისწინებთ.

სპორტსმენთა ტესტირების დროს მიღებული დადებითი შედეგები, როგორც წესი, აიხსნება მხოლოდ გაწვრთნილობით, მაშინ, როდესაც იგივე მაჩვენებლები შეიძლება გამოწვეული იყოს ბიოლოგიური სიმწიფის ინდივიდუალური თავისებურებით. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ მოზარდის მაჩვენებლების შეფასების დროს ბიოლოგიური ანუ ჭეშმარიტი ასაკის გათვალისწინება ერთ-ერთ აუცილებლობას წარმოადგენს.

ამრიგად, ბიოლოგიური ასაკის განსაზღვრის მეთოდიკის დანერგვით უფრო სრულყოფილი იქნება სპორტული სელექცია, ინდივიდუალური წვრთნის ოპტიმიზაცია, სპორტული „დღეგრძელობის“ პროგნოზირება და მედიკო-ბიოლოგიური კონტროლი.

ბიოლოგიური ასაკის განსაზღვრის მეთოდიკის დანერგვას ჩვენს რესპუბლიკაში უარადღება არ ექცეოდა. შარშან საქსპორტსახკომის ხელმძღვანელობის წინადადებით ეს საკითხი ადგილიდან დაიძრა.

საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტისა და რესპუბლიკური საექიმო ფიზკულტურის დისპანსერის მიერ დამუშავდა სპორტსმენთა ბიოლოგიური ასაკის განსაზღვრის მეთოდიკა და მისი დანერგვისათვის სათანადო კადრი მომზადდა.

შარშან საქსპორტსახკომმა ბიოლოგიური ასაკის განსაზღვრა შეიტანა ჭაბუკთა რესპუბლიკური ნაკრები გუნდების კანდიდატებისა და თბილისის ოლიმპიური რეზერვის სკოლების მოსწავლეთა კომპლექსური შემოწმების პროგრამაში.

გამოკვლევის შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ჭაბუკთა 11 ნაკრები გუნდის 506 კანდიდატიდან 40 პროცენტი აქსელერანტია, მათი ბიოლოგიური ასაკი საპასპორტოს საშუალოდ 3 წლით აღემატება, 38 პროცენტი რეტროდანტია, მათი ბიოლოგიური ასაკი საპასპორტოს საშუალოდ ჩამორჩება 2,6 წლით, ხოლო 22 პროცენტს საპასპორტო და ბიოლოგიური ასაკის სინქრონიზაცია აღენიშნება..

მეცნიერება და სპორტი

ბიბლიოთეკა

პ. ბ. ია ბ ლ ო ნ ს კ ი

ბ. ია ბ ლ ო ნ ს კ ი,
საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

ა. ჩუთლაშვილი,
ამავე ინსტიტუტის უფროსი მეცნიერმუშაკი,

კ. არობელიძე,
რესპუბლიკური საექიმო ფიზკულტურული დისპანსერის მთავარი ექიმი,

თ. ტერუნაშვილი,
საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე.

ჰონორარი ავტორთა თხოვნით გადაირიცხება სეოკ-ის ანგარიშზე მისი გახსნისთანავე.

უშუ-ს საიდუმლოებები

ჩინურმა საბრძოლო ხელოვნებამ, უშუ-მ, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში იშვა და დასაბამი მისცა მრავალ აღმოსავლურ ორთაბრძოლას, ჩვენში ოფიციალური აღიარება მხოლოდ ერთი წლის წინათ მოიპოვა. დღეს უშუ სულ უფრო მეტ მიმდევარს ჰპოვებს, როგორც საკუთარი თავისა და გარემოს წვდომის ხელოვნებას, იგი გამაჯანსაღებელი ელემენტების შემცველი საბრძოლო საშუალებაა.

ჭეშმარიტი მასწავლებელი მოწაფეს ეხმარება არა მარტო აითვისოს დარტყმები, არამედ ასწავლის ცხოვრებას საერთოდ, მეცადინეობა დიდად უწყობს ხელს ჯანმრთელობას — ადამიანთა უმრავლესობა ხომ არასწორად დადის, არასწორად სუნთქავს. უშუ ამის გამოსწორების შესაძლებლობას გვაძლევს. სხვათა შორის, მისი ერთ-ერთი მთავარი მცნება ღაღადებს, რომ ოსტატი, რომელიც დაეუფლება მის საიდუმლოებებს, ყოველმხრივ ეცდება არ გამოიყენოს ისინი ბრძოლის დროს.

საქართველოში სპორტის ახალი სახეობის უკვე ექვსი ოფიციალური ინსტრუქტორია, ორი მათგანი — დიმიტრი ლაბაძე და სამველ ასატროვი, სპორტის სასახლეში ამეცადინებენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისაგან შემდგარ ჯგუფს.

• • •

ედუარდ რასოევის ფოტოები. (საქინფორმი)

მაინც პროფესიონალები

რომი. პროფესიონალ და მოყვარულ კალათბურთელთა მესამე ტრადიციული ტურნირი („მაკდონალდსის“ ღია პირველობა) ამჯერადაც პროფესიონალების გამარჯვებით დამთავრდა. ნბა-ს ლიგის გუნდმა „დენვერ ნაგეთსმა“ გადამწყვეტ შეხვედრაში სძლია ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელ სპლიტის (იუგოსლავია) „იუგოპლასტიკას“ — 135:129. შეგახსენებთ, რომ წინა ტურნირები „მილუოქი ბაქსმა“ და „ბოსტონ სელტიქსმა“ მოიგეს.

იუგოსლავიელთა შორის კარგი თამაშით გამოირჩეოდნენ კონტინენტის ჩემპიონები კუკოჩი და რაჯა. სწორედ მათი წყალობით დასაწყისში „იუგოპლასტიკა“ დაწინაურდა კიდეც (4-5 ქულით), მაგრამ საბოლოო სიტყვა მაინც პროფესიონალთა მაღალმა ოსტატობამ და დახვეწილმა ტექნიკამ თქვა.

მესამე ადგილისთვის ბრძოლაში მილანის „ფილიპსმა“ დაამარცხა ესპანეთის „ბარსელონა“ — 136:104.

აქვე გთავაზობთ ტურნირის პირველი დღის შედეგებს: „დენვერი“ — „ბარსელონა“ 137:103, „იუგოპლასტიკა“ — „ფილიპსი“ 102:97.

ჩოგბურთის ამბები

ვენა „გრან-პრის“ სერიის აქ გამართულ ტურნირში გამარჯვება მოიპოვა ამერიკელმა პოლ ენეკოუნმა, რომელმაც ფინალში ახალზელანდიელი კელი ევერნდენი დაამარცხა — 3:2, ალექსანდრე ვოლკოვი ნახევარფინალში სწორედ ახალზელანდიელ ჩოგბურთელთან დამარცხდა — 1:2.

ესენი. დასავლეთ გერმანიის ამ ქალაქში მომდინარე საერთაშორისო ტურნირის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიელი სპორტსმენები, მსოფლიოს პირველი ჩოგანი ივან ლენდლი და ოლიმპიური ჩემპიონი მილოსლავ მეჩირჟი. გაიმარჯვა ლენდლმა — 6:4, 6:2.

ანტვერპენი. სულ მალე დაიწყება ევროპის თანამეგობრობის ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს თითქმის ყველა უძლიერესი ჩოგბურთელი. დებულების თანახმად ხუთი წლის განმავლობაში სამჯერ გამარჯვებულ სპორტსმენი [illegible]ებს მთავარ პრიზს „ბრილიანტის [illegible]ს“. ამ ჯილდოს მოგების ყველაზე მეტი შანსი ამერიკელ ჯონ მაკინროუს აქვს, რომელიც ორჯერ (1986 და 1988 წლებში) გამარჯვებულთა შორის იყო. ტურნირში მის გარდა გამოვლენ ლენდლი, ჯილბერტი, კორეშტეინი, ჩანგი, მაიოტი, მანჩინი, ლეკონტი და სხვა.

„სპორტლოტო“

22 ოქტომბერს მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს“ 1989 წლის 43-ე და სპეციალური, „გულმოწყალების“ ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 4 (კრივი), 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 13 (სამთოსათხილმურო სპორტი), 18 (ძლეოსნობა), 19 (სათხილამურო რბოლები), 23 (თხილამურებით ხტომა და ორეიდი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 2 (ბიატლონი), 6 (ძიუდო), 7 (კლასიკური ჭიდაობა), 15 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 17 (საცეგურაო სპორტი).

„გულმოწყალება“, „6 35“-დან: 3 (ბობსლეი), 16 (ცხენოსნობა), 22 (წყალში ხტომა), 33 (ფეხბურთი), 34 (ბალახის ჰოკეი).

„სპორტპროგნოზი“

43-ე ტირაჟის შედეგები

(20-22 ოქტომბერი)

1—1, 2—X, 3—2, 4—1, 5—X, 6—X, 7—2, 8—2, 9—1, 10—1, 11—2, 12—1, 13—2.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

რედაქტორის მოადგილე
უ. ჯიჯინაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10 524